ფსიქოაქტიური ნივთიერებების ფსიქოსოციალური მახასიათებლები ქვიარ ქალებსა და ტრანსგენდერ ადამიანებში

ირინა სილანტევა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია "ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ადიქციების კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან ჯავახიშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ირინა სილანტევა

13.06.2025

აბსტრაქტი

ნაშრომი მიზნად ისახავს ქვიარ ქალებსა და ტრანსგენდერ ადამიანებში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების ფსიქოსოციალური მახასიათებლების შესწავლას საქართველოს კონტექსტში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 109 მონაწილემ, რომლებიც შეირჩნენ მიზნობრივი და თოვლის გუნდის შერჩევის მეთოდით თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სათემო ორგანიზაციების ბაზაზე. კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით, სტანდარტული რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტების საშუალებით: ASSIST, GAD-7, PHQ-9, PC-PTSD-5 და PACT. შედეგებმა აჩვენა ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეების (დეპრესია, შფოთვა, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა) მაღალი გავრცელება ქვიარ პოპულაციაში, ასევე სოციო-ეკონომიკური მოწყვლადობა და ნივთიერებათა მრავალფეროვანი მოხმარების პატერნები, სადაც ლიდერობს ალკოჰოლი, თამბაქო და კანაფი. კვლევის ფარგლებში გამოვლინდა მნიშვნელოვანი კავშირი ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეებსა და ნივთიერებების მოხმარებას შორის. თეორიული ჩარჩოდ გამოყენებულ იქნა უმცირესობათა სტრესის მოდელი და გამკლავების მოქნილობის თეორია, რაც შესაძლებლობას იძლევა უკეთ გავიაზროთ ქვიარ თემში სტიგმისა და ტრავმის ზეგავლენა ნივთიერებათა მოხმარების რისკებზე. კვლევის შედეგები მიუთითებს ქვიარ მგრძნობიარე სერვისების განვითარების საჭიროებაზე და წარმოადგენს მნიშვნელოვან ბაზას სამომავლო კვლევებისთვის.

საძიებო სიტყვები: სექსუალური და გენდერული იდენტობა, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება, უმცირესობის სტრესი

Abstract

The study investigates the psychosocial traits of psychoactive substance use among queer women and transgender individuals in Georgia. A total of 109 participants were selected through purposive and snowball sampling in Tbilisi, Kutaisi, and Batumi, linked to community organizations. Utilizing quantitative methods, the research employed standardized instruments such as the ASSIST, GAD-7, PHQ-9, PC-PTSD-5, and PACT. Findings indicated a high prevalence of mental health issues (like depression, anxiety, and post-traumatic stress disorder) within the queer population, alongside socio-economic vulnerabilities and varied substance use patterns, notably with alcohol, tobacco, and cannabis as the most prevalent substances. The study highlighted a significant connection between mental health struggles and substance use. The theoretical frameworks of the Minority Stress Model and Flexibility in Coping Theory offered insights into how stigma and trauma impact substance use risk within the queer community. These findings emphasize the necessity for queer-sensitive services and lay a solid groundwork for future research.

Keywords: sexual and gender identity, psychoactive substance use, minority stress

მადლობა

გულწრფელ მადლობას ვუხდი ყველა ადამიანს, რომელიც კვლევის განხორციელებისა და ანგარიშის მომზადების სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვან დახმარებას მიწევდა.

უპირველესად, განსაკუთრებული მადლობა ჩემს ხელმძღვანელს, პროფესორ დარეჯან (ჯანა) ჯავახიშვილს, პროფესიონალიზმისთვის, გამოცდილების დაუღალავად გაზიარებისთვის, გამხნევებისა და მოთმინებისთვის, რის შედეგადაც ნაშრომმა საბოლოო სახე მიიღო.

მადლობას ვუხდი პროგრამის აკადემიურ პერსონალსა და ლექტორებს ღირებული ცოდნისა და რჩევებისათვის, რომლებიც დამეხმარა კვლევის განხორციელებასა და ცოდნის გაღრმავებაში.

განსაკუთრებული მადლიერება მსურს გამოვხატო კვლევის მონაწილეების მიმართ, ასეთ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში გულახდილობისა და ნდობისთვის. ბოლოს, მადლობა სათემო ორგანიზაცია “ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფს - WISG” ფინანსური მხარდაჭერისთვის.